

მერი ჯუმბერ ვარდმანიძე სოფ. განახლების მოსახლეობას შეხვდა



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი ჯუმბერ ვარდმანიძე მოადგილესთან კახა ფუტყარაძესთან ერთად სოფელ განახლების მოსახლეობას შეხვდა. ადგილობრივებმა პირველ რიგში სასმელი წყლის მიწოდების პრობლემის მოგვარება მოითხოვეს. ჯუმბერ ვარდმანიძე ადგილობრივებს აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრას უახლოეს მომავალში დაპირდა.

მუნიციპალიტეტის პირველმა პირმა ადგილობრივებს 2018 წელს მიმდინარე ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისა და სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტებზეც ესაუბრა.